

# TopLasur NQG®

ნანოკვარცულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული, გამოსაყენებლად მზა ლაზური. შიდა და გარე სამუშაოებისთვის.



## პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

მზიდუნარიანი სტრუქტურული საფარებისა და სტრუქტურული ბათქაშებისთვის განკუთვნილი დეკორატიული ლაზური (სტრუქტურის შესანარჩუნებელი საფარი), შიდა და გარე სამუშაოებისთვის. განსაკუთრებით შესაფერისია ბუნებრივ ქვის ზედაპირზე ფერის გასახალისებლად და ამაკვდროულად მისი კლიმატური ზემოქმედებისაგან დასაცავად.

თვისებები

- სწრაფი, განმეორებითი შრომის პროცესი, ნალექისა და ნამის შემდეგ
- ფერების საუკეთესო მედეგობა
- მაღალი დიფუზიის უნარი
- CO2-ის გამტარი

მასალის შემკვრელი

სილიკატური/ორგანული ჰიბრიდული შემკვრელი

შეფუთვის ზომები

5 ლ, 10 ლ

ფერი

**თეთრი-გამჭირვალე**

TopLasur NQG®-ის შეფერადება შესაძლებელია მანქანური მეთოდით ColorExpress-ის სისტემის ფერთა კოლექციაში არსებულ ფერთა ტონებში. შეამონმეთ შეფერადებული პროდუქტი დატანამდე, რათა თავიდან იქნას აცილებული ფერში გადახრა. ერთიანი ზედაპირის შეღებვისას გამოიყენეთ იდენტური წარმოების სერიის მქონე პროდუქტი. ფერის და გამჭირვალეობის განსაზღვრა უნდა მოხდეს სატესტო დატანით. TopLasur NQG®-ის შეფერადება ხდება მხოლოდ სინათლე-მედეგი და არაორგანული პიგმენტებით. ეს უზრუნველყოფს ტექნოლოგიურად შესაძლო, საუკეთესო ფერთა სტაბილურობას.

TopLasur NQG®-ი ექვემდებარება ხელით შეფერადებას AmphiColor-ის სრულტონოვანი საღებავებით, მაქსიმუმ 20% დამატებით. ფერთა სხვაობის (აჭრელება) თავიდან ასაცილებლად ხელით შეფერადებისას, საჭიროა საღებავის მთლიანი რაოდენობა იქნას ერთმანეთში გულდასმით შერეული.

**ფერის მდგრადობა BFS მონაცემთა ფურცლის - N26 მიხედვით:**

კლასი: A  
ჯგუფი: 1

სიპრიალის ხარისხი

აბრეშუმისებრი მქრქალი, კლასი: G2

შენახვის პირობები

შენახეთ გრილ ადგილას, დახურულ შეფუთვაში. მოარიდეთ ყინვას.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: დაახლ. 1,1 g/cm<sup>3</sup>
  - დიფუზიის ექვივალენტური ჰაერის ფენის სისქე sdH<sub>2</sub>O: < 0,1 მ (მაღალი), კლასი: V1
  - წყლის შეღწევადობა (w-ფაქტორი): დაახლ. 0,25 [კგ/(მ<sup>2</sup>·h<sub>0,5</sub>)] (საშუალო) Klasse:W2
- პროდუქტის შეფერადებამ (კოლირება) შესაძლოა გამოიწვიოს ცვლილებები ტექნიკურ მახასიათებლებში.

მხარდამჭერი პროდუქტები

Minera Universal; Capadecor MultiStructur



ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
○	+	+	+	+
(-) არ არის შესაფერისი/ (○) შეზღუდულად შესაფერისი/ (+) შესაფერისი				

## გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ზედაპირის მომზადება

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან

### ექსტერიერი:

**ახალი და ძველი, მოქმედი თბისაზოლაციო სისტემები აკრილის და სილიკონის ფისის, კირის (Plc), ან კირ-ცემენტის შემცველის შემცველი ბათქაშების (P II) ზედაპირები, DIN EN 998-1-ის თანახმად: 1 N/მმ2:** ძველი ბათქაშები გაიწმინდოს შესაბამისი სველი მეთოდით. წყლის ჭავლით გასუფთავებისას წყლის მაქსიმალური ტემპერატურა 60°C, მაქსიმალური წნევა-60 ბარ. წმენდის შემდეგ გაშრეს საფუძვლიანად. ზედაპირის თავისებურებების გათვალისწინებით დაიფაროს შესაბამისი პროდუქტებით.

**ბათქაშები: Plc, PII და PIII ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები ან სილიკატური ბათქაში, DIN EN 998-1-ის თანახმად: 1 N/მმ2:** ახლად დატანილი ბათქაში უნდა დამუშავდეს მინიმუმ 2 კვირის შემდეგ, დაახლოებით 20°C და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში. არახელსაყრელი ამინდის, მაგალითად ქარის ან წვიმის დროს ბათქაშის შრობის დრო იზრდება. დამატებით CapaGrund Universal გრუნტის გამოყენებით Plc, PII და PIII ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშებზე მცირდება მარილის გამოტანის რისკი, რის შემდეგაც საბოლოო ფენის დატანა შესაძლებელი ხდება უკვე 7 დღეში.

**ძველი ბათქაში:** შერემონტებული ადგილები უნდა გაშრეს და გამაგრდეს. ფოროვანი და მაღალი შენთვის მქონე ბათქაში, რომელიც მცირედ იცარცება, უნდა დამუშავდეს OptiSilan TiefGrund-ით, ინტენსიურად ცარცვადი და ქვიშაყარი ბათქაშები საჭიროებს ღრმად დაგრუნტვას Dupa-Putzfestiger-ით.

**ახალი სილიკატური ბათქაშები:** დაიფაროს Histolith Antik Lasur-ით.

**არსებული/ძველი სილიკატური საღებავები და ბათქაშები:** მოიწმინდოს მექანიკური საშუალებებით, ან წყლის მაღალი ჭავლით, შესაბამისი წესების დაცვით. არამდგრადი, ფუყე ადგილები ჩამოიფხიკოს/მოიშალოს. დატანილ იქნას გასამყარებელი საგრუნტავი მასალა - Dupa-Putzfestiger-ი.

**ფოროვანი ბეტონი, მზიდუნარიანი ძველი დანაფარები:** გაასუფთავეთ დაუზიანებელი ზედაპირები. დაიგრუნტოს CapaGrund Universal-ით. დაზიანებების მქონე ფოროვანი ბეტონის შემთხვევაში, მიმართეთ კაპაროლის შენობების დაცვის მითითებებს.

**ბეტონი:** დაბინძურებული ზედაპირები უნდა გასუფთავდეს მექანიკურად, ან წყლის ჭავლის გამოყენებით, შესაბამისი ნორმების დაცვით. სუსტად შემწოვი და გლუვი ზედაპირები უნდა დაიგრუნტოს CapaGrund Universal-ით, შემწოვ ზედაპირებზე გამოიყენეთ CapaSol LF, ხოლო ცარცვად ზედაპირებზე Dupa-grund-ი.

**ცემენტით შეკრული ხის ნახერხის ფილები:** მაღალი ტუტიანობის გამო საჭიროა დაიგრუნტოს Disbon 481 EP-Uniprimer-ით, რათა თავიდან იქნას აცილებული კირის გამორეცხვა.

**მოსაპირკეთებელი აგურის ზედაპირი:** შემდგომ დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ ყინვაგამძლე აგური, რომელიც არ შეიცავს სხვა მინარევებს. აგურებს შორის არ უნდა იყოს ბზარები და მარილის ნალექი. დამუშავდეს გასამყარებელი გრუნტით - Dupa-Putzfestiger. თუ შუალედურ ფენაზე გაიჩინა ყავისფერი ლაქები, საბოლოოდ დასაფარად გამოიყენება Duparol-ი.

**წყალდისპერსიული, ან სილიკონის ფისის შემცველი მზიდი დანაფარები:** პრიალა ზედაპირი გაიწმინდოს ხაოიანი სტრუქტურის მისაღებად. ცარცვადი და დაბინძურებული ადგილები გაიწმინდოს წყლის მაღალი წნევის ჭავლით, სათანადო წესების დაცვით. გაშრობის შემდეგ დავიტანოთ ურთი პირი გრუნტი CapaGrund Universal. სხვა ტიპის მოწმენდის შემთხვევაში (ქიმიური წმენდა, რკინის ჯაგრისით მოხეხვა) - დამუშავდეს გრუნტით OptiSilan TiefGrund ან Dupa-Putzfestiger.

**აკრილის, ან სილიკონის ბაზაზე არსებული მზიდი დანაფარები:** ძველი ბათქაშები გასუფთავდეს დადგენილი წესით. სველი მეთოდით განმენდის შემთხვევაში ზედაპირი კარგად უნდა გაშრეს შემდგომი დამუშავებისათვის.

**არამზიდი მინერალური დანაფარები:** მთლიანად მოცილდეს ჯაგრისით, ზუმფარის ქაღალდით, ან წყლის ჭავლით, შესაბამისი წესების დაცვით. სველი მეთოდით განმენდის შემთხვევაში ზედაპირი კარგად უნდა გაშრეს შემდგომი დამუშავებისათვის. იგრუნტება Dupa-grund-ით.

**ხელოვნური ფისის შემცველი ბათქაშების და დისპერსიული საღებავების არამზიდი დანაფარები:** მთლიანად მოცილდეს შესაბამისი წესების დაცვით (მექანიკურად, ან წყლის ჭავლით). სუსტად შემწოვი და გლუვი ზედაპირები დაიგრუნტოს CapaGrund Universal-ით, ხოლო შემწოვი და ქვიშაყარი ზედაპირები Dupa-grund-ით.

**საწარმოო გაზით და მურით დაბინძურებული ზედაპირები:** დაიფაროს ფასადის საღებავით Duparol, რომელიც არ შეიცავს წყალს

**შებათქაშებული, ან ბეტონის დაზიანებული ადგილები:** დაიფაროს PermaSilan-ით, ან Cap-elast-ით.

**მარილის ნალექის მქონე ზედაპირები:** მარილი მოიწმინდოს მშრალი ჯაგრისით. დაიგრუნტოს Dupa-grund-ით. ასეთი ზედაპირების შემთხვევაში არსებობს მარილების გამოტანის განმეორებითი შანსი, ამიტომ, დანაფარის ხანგრძლივი სიმტკიცის გარანტიას ჩვენ ვერ ვიძლევი.

**ბუნებრივი ქვა:** ქვის ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, მყარი და თავისუფალი მარილებისაგან. გამოფიტული ზედაპირი უნდა გამყარდეს რამოდენიმე ფენა Histolith Steinfestiger-ის წასმით. დაბინძურებული ადგილები განმინდეთ წყლის ჭავლით, სათანადო წესების დაცვით. დეფექტები უნდა შერემონტდეს ქვის შემცველი მასალებით. შერემონტებული ადგილები კარგად უნდა შეიკრას, გამრეს და დამუშავდეს ფლუატირების მეთოდით.

**დეფექტების მქონე ადგილები:** მცირე ზომის დეფექტები შესაძლოა გამოსწორდეს Caparol Fassaden-Feinspachtel-ის საგოზავი მასით. 20 მმ.-მდე ზომის დეფექტების ამოსავსებად გამოიყენება Capalith-Fassadenspachtel P ან Histolith-Renovierspachtel. შემდგომ დაიგრუნტოს ზედაპირი

ინტერიერი

**PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები/კომპრესიული სიძლიერე DIN EN 998-1 შესაბამისად არა ნაკლებ B 1,5 N / mm<sup>2</sup>:** მყარი, კარგად შემწოვი ბათქაშები შეღებეთ წინასწარი დამუშავების გარეშე. ფოროვანი, ცარცვადი შემწოვი ბათქაშები დაგრუნტეთ OptiSilan TiefGrund - ით ან CapaSol RapidGrund-ით.

**PIV ჯგუფის ცემენტის ხსნარების თაბაშირი და მზა ბათქაშები/კომპრესიული ძალა DIN EN 13279 შესაბამისად არა ნაკლებ 2 N / mm<sup>2</sup>:** დაიგრუნტოს Caparol Haftgrund EG -თი. თაბაშირის ბათქაშები არასწორი ზედაპირით გამოიფეთ, განმინდეთ მტვრისგან და დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

**სამშენებლო თაბაშირის ფილები:** თაბაშიროჭკოვანი ფილები დაგრუნტეთ CapaSol RapidGrund-ით ან CapaSol Konzentrat-ით. გლუვი, მკვრივი ზედაპირის ფილები დაგრუნტეთ HaftGrund EG -თი.

**თაბაშირ-მუყაოს ფილები:** გაშლივთ ფილების ნარჩენები. რბილი და გაშლივლი ადგილები გაამყარეთ Dupa-Putzfestiger-ით. დაგრუნტეთ HaftGrund EG-თი, CapaSol RapidGrund-ით ან CapaSol Konzentrat-ით. ფილები წყალში ხსნადი პიგმენტური ლაქებით დაგრუნტეთ AquaSperrgrund-ით. გაითვალისწინეთ BFS - მონაცემთა ფურცელი No. 12

**ბეტონი:** მოაცილეთ ცარცვადი, ფხვნადი ნივთიერებები.

**ფოროვანი ბეტონი:** დაგრუნტეთ. Capaplex -ით, გაზავებული წყალთან პროპორციით: 1 : 3 .

**კირი და აგური/კრამიტი:** შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე.

**მყარი მზიდი დანაფარები:** მქრქალი, სუსტად შემწოვი ზედაპირები შეღებეთ დაუმუშავებლად. პრიალა, ლაქით და ემალით დაფარული ზედაპირები გაშლივთ და დაამუშავეთ HaftGrund EG-თი.

**არამზიდი დანაფარები:** ხელოვნური ფისის თაბაშირები, ლაქისა და დისპერსიული საღებავების დანაფარები მოაშორეთ სრულად. სუსტად შემწოვი, გლუვი ზედაპირები დაგრუნტეთ Haftgrund EG-თი. მსხვილ ფოროვანი, ცარცვადი, შემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ CapaSol RapidGrund-ით. მინერალური საღებავების არამზიდი დანაფარები მექანიკურად მოაცილეთ და განმინდეთ მტვრისგან. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

**დანაფარები ნებოვანი საღებავით:** საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

**რელიეფური, ბოჭკოვანი ან ტვიფრული ქაღალდის შეუღებავი შპალერი:** შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე.

**არამზიდი შპალერი:** მთლიანად მოაშორეთ, მორეცხეთ და გაასუფთავეთ ნარჩენებისგან. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

**ხავს-მოდებული და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები:** ობით და სოკოთი დაზიანებული ადგილები განმინდეთ წყლით. ჩამორეცხეთ Capatox-ით ან FungiGrund-ით და კარგად გააშრეთ. დაგრუნტეთ ზედაპირის სახეობის და თვისებების შესაბამისად. განსაკუთრებით დაზიანებულ ზედაპირებზე დამასრულებელ ფენად წაუსვით Indeko-W, Malerit-W ან Fungitex-W.

**ზედაპირები ნიკოტინის, წყლის, ჭვარტლის და ცხიმის ლაქებით:** ნიკოტინით, ჭვარტლით და ცხიმით დაბინძურებული ზედაპირები ჩამორეცხეთ ცხიმის მოსაშორებელი საშუალებით (მაგალითად ქურჭლის სარეცხი საშუალება), შემდგომ კარგად გააშრეთ. გამშრალ ზედაპირზე შემორჩენილი წყლის ლაქები გახეხეთ და განმინდეთ. პირველი ფენა წაუსვით Caparol AquaSperrgrund. ძლიერ დაბინძურებულ ზედაპირებზე. დამასრულებელ ფენად გამოიყენეთ Caparol Aqua-inn N<sup>o</sup>1.

**ხის ზედაპირები:** წაუსვით წყალდისპერსიული, ეკოლოგიურად უსაფრთხო Capacryl Acryl-ის ლაქები ან Capacryl PU-ის ლაქები.

**მცირე დეფექტები:** გამოსწორეთ Caparol-Akkordspachtel-ით და შემდგომ დაგრუნტეთ.

დატანის მეთოდები

სასურველი ლაზურის ეფექტის შესაბამისად დაიტანეთ ჯაგრისით, ფუნჯით, ბუნებრივი ღრუბლით ან ჩვრით.

დაფარვის სტრუქტურა

**შუალედური ფენა:** Minera Universal-ით ან Capadecor MultiStructur-ით (მხოლოდ ინტერიერში) ჯაგრისით სტრუქტურირებული, თეთრი ან მსუბუქად შეფერილი, რომ შეესაბამებოდეს შემდეგ ლაზურის ფერს. სრუქტურირებული ბათქაშები ასევე შესაფერისია შუალედური ფენისათვის. Auch Strukturputze sind als Zwischenbeschichtung geeignet. გლუვი ზედაპირების დაფარვა, წინასწარი დამუშავების გარეშე არ შეიძლება.

**დამასრულებელი ფენა:** საბოლოო საფარად ლაზურის სასურველი ეფექტის მისაღებად დაიტანეთ შეფერილი პროდუქტის 1-3 ფენა. მაქსიმუმ 30% წყლის გაზავებით რეგულირდება პროდუქტის სასურველი გამჭვირვალობა. სასურველი შესახედაობის მისაღებად შემდეგი ფენის დატანა შესაძლებელია "სველით-სველზე" მეთოდით ან პირველი ფენის გამშრობის შემდეგ.



# ტექნიკური ინფორმაცია N. 1276

ხარჯი	ერთ ფენაზე დაახლოებით 100 - 150 მლ/მ2 გლუვი ზედაპირებისათვის. უხემ ზედაპირზე ხარჯი შესაბამისად იზრდება. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით
გამოყენების პირობები	<b>მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:</b> ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა +8 C.
შრობის დრო	დაიცავით თითოეულ ფენების შორის, შრობის მინიმუმ 12 საათიანი ინტერვალი. გრილ და ნესტიან ამინდში, შრობის დრო შესაბამისად იზრდება. მუშაობის პროცესში იზრუნეთ სივრცის მუდმივ განიავებაზე.
ხელსაწყოების წმენდა	სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს წყლით.
შენიშვნები	<p>გადაბმის ადგილებზე ზოლოვანი ლაქების გაჩენის თავიდან ასაცილებლად პროდუქტი დატანილ უნდა იქნას ერთი მოსმით " სველი-სველზე" მეთოდით. არ გამოდგება წყლის დატვირთვის მქონე ჰორიზონტალური ზედაპირებისათვის. დამუშავების პროცესში მოერიდეთ მაღალ ტემპერატურებს, ძლიერ ქარს, ნისლს, მაღალ ტენიანობას და წვიმას. შრობის პროცესში წვიმისგან თავდასაცავად ზედაპირი შეფუთეთ.</p> <p><b>დაცვითი ღონისძიებები:</b> დასამუშავებელი ზედაპირის მიმდებარე ობიექტები კარგად შეფუთეთ. განსაკუთრებით მინის, კერამიკის, ლაქნასმული, კლინკერის აგურის, ბუნებრივი ქვის, ხის და მეტალის ზედაპირები.</p> <p>მუქ ფერებში კოლირებისას, ისევე როგორც ყველა მქრქალი საღებავის შემთხვევაში, მექანიკური გახაზვა იწვევს შედარებით ღია კვალის გაჩენას ზოლებად. ფოტოკატალიტური პიგმენტების შემცველობის გამო, ეს თვისება ნაკლებად არის გამოხატული.</p> <p>არახელსაყრელი ამინდის პირობებში, შენელებული შრობის გამო მყარ და გრილ ზედაპირებზე შესაძლებელია დროებით გაჩნდეს მოყვითალო, გამჭვირვალე წებოვანი ლაქები, რომელიც წვიმის შემოქმედებით, დროთა განმავლობაში თავისით ქრება და არ მოქმედებს ზედაპირის ხარისხზე! თუ ზედაპირი საჭიროებს აუცილებელ გადამუშავებას, ლაქები უნდა დასველდეს, მოირეცხოს და შემდგომ დამუშავდეს CapaGrund Universal-ის გრუნტით. ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში ასეთი ლაქები არ ჩნდება.</p>

## მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	<b>მოარიდეთ ბავშვებს!</b> არ ქამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. დამუშავების და შრობის პროცესში იზრუნეთ შესაბამისი განიავებაზე. კანთან ან თვალბინთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით და საპნით. ტუტე მასალა. დაიცავით კანი და თვალები მზისგან. შეფუთული დასამუშავებელი ზედაპირის მიმდებარე ობიექტები. მოხვედრილი მზისგან დაუყოვნებლივ მოწმინდეთ.
უტილიზაცია	შეიცავს: 1,2-ბენზოთიაზოლ-3(2H)-ონს, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონს, 5-ქლორო-2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის რეაქტივის მასას და 2-მეთილ- 2H -იზოთიაზოლ-3-ონი (3:1).
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას, როგორც ლაქების ან საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი, როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი. დაფარვის სტრუქტურა.
პროდუქტის კოდი	პროდუქტის კატეგორია (A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 30 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
შემადგენლობა	GISCODE BSW20 (alt: M-DF02)
ტექნიკური კონსულტაცია	ჰიბრიდული შემკვრელები (ორგანოსილიკატი/აკრილატი), სილიკატები, წყალი, გლიკოლის ეთერები, ალიფატიკები, დანამატები, კონსერვანტები.
	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

### შპს კაპაროლ ჯორჯია

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,  
0198 თბილისი საქართველო  
office@caparol.ge